საქმე № 010310024010410133
N3-787/24წ.

10158582512132
www.ecd.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით
სარჩელის წარმოებაში მიღების, საქმეში მესამე პირების ჩაბმისა
და მთავარი სხდომის დანიშვნის შესახებ

13 ნოემბერი, 2024 წელი ქ. ბათუმი

ბათუმის საქალაქო სასამართლო
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ჯუმბერ ბეჟანიძე

მოსარჩელე - მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა"
წარმომადგენელი - უშანგი ჯაფარიძე
მოპასუხე - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია
დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ქმედების განხორციელების დავალება

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელის წარმოებაში მიღების, საქმეში მესამე პირების ჩაბმისა და მთავარი სხდომის დანიშვნის საკითხი

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

2024 წლის 13 ნოემბერს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობის" წარომადგენელმა, სასარჩელო განცხადებით მომართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიმართ, რომლითაც მოითხოვა:
-აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 11 ნოემბრის №38 განკარგულების ბათილად ცნობა და შესაბამისად №79 ბათუმის, №80 ქედის, №81 ქობულეთის, №82 შუახევის, №83 ხელვაჩაურისა და №84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმებისა და აღნიშნულ საარჩევნო ოლქებში გამართული კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების ბათილად ცნობა, ასევე, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიის დავალდებულება, ხელახალი არჩევნების დანიშვნის შესახებ.
სასამართლოს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი სარჩელი პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-178-ე და 445-ე მუხლების მოთხოვნებს და მიღებულ უნდა იქნეს სასამართლო წარმოებაში.

სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ მესამე პირი აუცილებლად უნდა იქნეს საქმეში ჩაბმული, თუ იგი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი.

დადგენილია, რომ მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2024 წლის 11 ნოემბრის №38 განკარგულების ბათილად ცნობა და შესაბამისად №79 ბათუმის, №80 ქედის, №81 ქობულეთის, №82 შუახევის, №83 ხელვაჩაურისა და №84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების ბათილად ცნობა, ასევე, ბათილად იქნას ცნობილი ზემოაღნიშნულ საარჩევნო ოლქებში გამართული კენჭისყრისა და არჩევნების შედეგები და დაევალოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დანიშნოს ხელახალი არჩევნები.

შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის განხილვაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მესამე პირებად უნდა ჩაებან **№79 ბათუმის, №80 ქედის, №81 ქობულეთის, №82 შუახევის, №83 ხელვაჩაურისა და №84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიები და საარჩევნო სუბიექტები: „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია“, „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა, „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებლებისთვის!“, „ევროპელი დემოკრატები“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“, „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“, „შეცვალე საქართველო“, „საქართველო“, „თავისუფალი საქართველო“, „ტრიბუნა“, „ჩვენ“, „გახარია საქართველოსთვის“, „მემარცხენე ალიანსი“, „გირჩი“ და „ქართული ოცნება“.**

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-16 მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-178-ე, 284-ე, 285-ე, 445-446-ე მუხლებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1.მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ,,ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობის“ სარჩელი, მოპასუხის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ქმედების განხორციელების დავალების თაობაზე, მიღებული იქნეს წარმოებაში.

2.ადმინისტრაციულ საქმეში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, მესამე პირებად ჩაბმული იქნენ **№79 ბათუმის, №80 ქედის, №81 ქობულეთის, №82 შუახევის, №83 ხელვაჩაურისა და №84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიები და საარჩევნო სუბიექტები: „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია“, „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა, „ძლიერი საქართველო- ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებლებისთვის!“, „ევროპელი დემოკრატები“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“, „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“, „შეცვალე საქართველო“, „საქართველო“, „თავისუფალი საქართველო“, „ტრიბუნა“, „ჩვენ“, „გახარია საქართველოსთვის“, „მემარცხენე ალიანსი“, „გირჩი“ და „ქართული ოცნება“.**

3.საქმეზე სასამართლოს მთავარი სხდომა დანიშნულია, 2024 წლის 14 ნოემბრის 13:00 საათზე, რის შესახებაც მხარეები გაფრთხილებული იქნენ კანონით დადგენილი წესით.

4.მოპასუხეს გაეგზავნოს სარჩელისა და თანდართული მასალის ასლები. მასვე განესაზღვროს ვადა შესაგებელის წარმოსადგენად 2024 წლის 14 ნოემბრის 11:00 საათამდე.

5.განჩინება მესამე პირად ჩართვის ნაწილში შეიძლება გასაჩივრდეს საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად, მხოლოდ საქმეში ჩაბმული მესამე პირების მიერ.

6.განჩინება დანარჩენ ნაწილში არ საჩივრდება.

მოსამართლე:	ხელმოწერილია	ჯუმბერ ბეჟანიძე
ასლი დედანთან სწორია მოსამართლის თანაშემწე		ნესტან მარჯანიშვილი